



## ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო



განკარგულება № 174

2013 წლის 6 დეკემბერი  
ქალაქი ხაშური

ავტომანქანის (Volkswagen passat) სათადარიგო ნაწილების და თანმდევი მომსახურების გამარტივებული შესყიდვით განხორციელების შესახებ

2013 წლის 21 ოქტომბერს (სატენდერო განცხადება (SPA130022977) და 2013 წლის 31 ოქტომბერს (SPA130023735) გამოცხადებული იყო გამარტივებული ელექტრონული ტენდერები ავტომანქანის (Volkswagen passat) სათადარიგო ნაწილების და თანმდევი მომსახურების შესყიდვაზე, რომლებსაც 2013 წლის 28 ოქტომბერს და 2013 წლის 6 ნოემბერს მიენიჭათ სტატუსი „ტენდერი არ შედგა“.

ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობის კუთვნილი ავტომანქანისათვის (Volkswagen passat) სათადარიგო ნაწილების და თანმდევი მომსახურების შესყიდვა კი აუცილებლობას წარმოადგენს.

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 43-ე მუხლის მესამე პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10<sup>1</sup> მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, გამგეობის ინფრასტრუქტურის განვითარების და ტერიტორიის კეთილმოწყობის სამსახურის 2013 წლის 5 დეკემბრის N4102 მოხსენებითი ბარათის და ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2012 წლის 28 დეკემბრის #52 დადგენილებით დამტკიცებული ხაშურის მუნიციპალიტეტის 2013 წლის ბიუჯეტის შესაბამისად:

1. განხორციელდეს ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობის კუთვნილი ავტომანქანისათვის (Volkswagen passat) სათადარიგო ნაწილების და თანმდევი მომსახურების გამარტივებული შესყიდვა.
2. დაევალოს ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობას განახორციელოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა საჭირო ღონისძიება, რაც დაკავშირებულია ამ განკარგულების პირველი პუნქტის შესასრულებლად.
3. ეს განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.
4. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ხაშურის რაიონულ სასამართლოში (ქ. ხაშური, კოსტავას ქ. N15) ერთი თვის განმავლობაში.

საკრებულოს თავმჯდომარის  
დავით ლომიძე

